საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/6251
11/12/2025

6251-01-2-202512111537

ზურაბ კალაძეს (პ/ნ 01025020038)
მის: : ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-4 მკ/რ კორპუსი №410, ბინა №27
ელ-ფოსტა: opatrade.info@gmail.com
ტელ:574 81 93 93

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ-საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში- სააგენტო) შემოსულია (პ/ნ) 2025 წლის 15 იანვრის №01/133 განცხადება, რომელიც ეხება ზურაბ კალაძის (პ/ნ 01025020038) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში-კანონი) შესაძლო დარღვევის ფაქტს.

საქმის შესწავლის დასრულებამდე, მოვაჭრემ სააგენტოს შესთავაზა პირობითი ვალდებულების აღება, რომლითაც დაევალებოდა სავაჭრო პოლიტიკის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. სააგენტომ განიხილა კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრის მიზნით მოვაჭრის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულებები და მიიჩნია, რომ ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, შესაბამისად, დაეთანხმა შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და ზურაბ კალაძის (პ/ნ 01025020038) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების თაობაზე“ 2025 წლის 26 ივნისის №04/690 ბრძანებით დაასრულა მოვაჭრის მიმართ დაწყებული საქმის შესწავლა მოვაჭრის მიერ კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე.

მოვაჭრე სააგენტოს მიერ მასთან დადებული წერილობითი შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში თავის მიერ ნაკისრ პირობით ვალდებულებებს არაჯეროვნად ასრულებს, კერძოდ სააგენტოში არ წარმოუდგენია პირობითი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია(ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობები, ვადები და წესები, ინფორმაცია კანონისმიერი გარანტიის პირობების თაობაზე).

აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონის 33-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, , სააგენტომ 2025 წლის 10 დეკემბრის 04/1474 ბრძანებით ხელახლა დაიწყო საქმის შესწავლა ზურაბ კალაძის (პ/ნ 01025020038)მიერ კანონის შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

ამასთან, სააგენტოში შემოვიდა მოქალაქე [illegible] 2025 წლის 16 ივლისის N01/4249 განცხადება რომელიც ეხება ზურაბ კალაძის (პ/ნ 01025020038) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის ფაქტს.განცხადების მიხედვით, მომხმარებელმა მაღაზიიდან ,,houseline. ჰაუსლაინ“ (https://www.facebook.com/houseline.ge/) (შემდგომში-მოვაჭრე) შეიძინა 2 ცალი აეროგრილი. განმცხადებლის განმარტებით, ნივთი აღმოჩნდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსაბამო (განსხვავებული მახასიათებლების) და მოითხოვა ნივთის შეცვლა ან უკან დაბრუნება, რაზეც მოვაჭრეს რეაგირება არ მოუხდენია.

საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ერთგვაროვან/მსგავს საკითხთან დაკავშირებით, ერთი მოვაჭრის მიმართ სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილ ერთზე მეტ განცხადებასთან დაკავშირებით დაიწყოს საქმის შესწავლა ერთიანი პროცედურის ფარგლებში. ხოლო, თუ საქმის შესწავლა უკვე დაწყებულია – მიღებული განცხადებები ჩართოს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თუკი ეს შესაძლებელია საქმის შესწავლისათვის დადგენილი ვადის გათვალისწინებით.

აღნიშნულის საფუძველზე, სააგენტომ 2025 წლის 10 დეკემბრის №04/1474 ბრძანებით დაწყებულ საქმის წარმოებაში ჩართო [illegible] 2025 წლის 16 ივლისის N01/4249 განცხადება.

პროცედურის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სააგენტო საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში აწვდის მოვაჭრეს შესაბამის ინფორმაციას, განუმარტავს მის უფლება-მოვალეობებს და განუსაზღვრავს არანაკლებ 5 სამუშაო დღის ვადას მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის თაობაზე პოზიციის წარსადგენად.

შეგახსენებთ, რომ სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მხარეს უფლება აქვს ჰყავდეს წარმომადგენელი; სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე; გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით; მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება; განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

დანართის სახით გიგზავნით „ განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის ხელახალი დაწყების თაობაზე“ 2025 წლის 10 დეკემბრის №04/1474 სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების ასლს და მოქალაქე 2025 წლის 16 ივლისის N01/4249 განცხადებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, პროცედურის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, წარმოგვიდგინოთ პოზიცია ` 2025 წლის 16 ივლისის N01/4249 განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით;

დანართი: „5“ ფურცელი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/1474
10.12.2025

ბრძანება

1474-01-4-202512101421

მოქალაქე **განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის ხელახალი დაწყების თაობაზე**

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 33-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-6 მუხლის 1-ელი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტებისა და მე-12 მუხლის მე-7 პუქნტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. მოქალაქე 2025 წლის 15 იანვრის №01/133 განცხადების საფუძველზე, ხელახლა დაიწყოს საქმის შესწავლა მოვაჭრის - ზურაბ კალაძის (პ/ნ 01025020038) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
3. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე ეცნობოთ მხარეებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 27 ნოემბრის №03/1723 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე